წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 25 მაისი

# სამშობლო

№ 363

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს, გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე პაშა იოსების ასული და დედა ელპიდე რატიანისა, სიდედრი გუგულო, სიმამრი იოსებ, ცოლის ძმები: საშა, რამინ, გრიშა, ჯაბა და სადიკო ლომინაძეები—მეუღლეებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ ხაშურის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებლის

## მიხეილ (გუია) პიმენის ძის რატიანის

ტრაგიკულ გადაცვალებას, რომელიც 19 მაისს, საღამოს 9 საათზე ვერაგულად იქნა მოკლული დ. ხაშურში. ცხედარი მოსვენებული იქნა ხაშურიდან 24 მაისს, სამშაბათს, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში, საიდანაც დღეს, 25 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე წაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.
1—1 184

23 მაისს ქ. თფილისში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ელისაბედ (ლიზა) მიხეილის ასული გრიგოლიასი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მისი ნიკოლოზ ალექსის ძე გრიგოლია, ძმა ვასილ მიხეილის ძე კლდიაშვილი, რძალი მარიამ პავლეს ასული კლდიაშვილისა, ძმისწულები ნიკოლოზ და ვალერიან ვასილის ძენი კლდიაშვილები და მაზლისწული ეკატერინე სილოვანის ასული გრიგოლია.
მიცვალებულის ქ. ქუთაისში მოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული
188 1—1

**ქუთაისის ოლქის სააქციზო სამმართველო** საჯაროთ აცხადებს, **რომ ამა 1916 წლის 23 მაისიდან**

## მომატებული იქნება

## ბაჟი თამბაქოზე

თამბაქო თუ პაპიროსი გაიყიდება არა უმცირეს იმ ფასებისა, რა ფასებიც აღნიშნულია ეთიკეთის ზემოთ დაწებებულ „იარლიკზე", რომლის ერთი ნაწილი ბანდეროლ ქვეშ უნდა იყოს დატანებული, ან თუ ეს იარლიკი არ აღმოჩნდება—თვით ეთიკეთზე დაბეჭდილ ფასად,
**ფასების მოჭარბება ვაჭრებს კანონით სასტიკად აეკრძალებათ.** 3—2

**ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის**

## ჭრა-კერვის

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.
მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.
56 ეგზამენების დაჭერა მოხდება ქსპერტების თანადასწრებით.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

**ამზადებს**

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.
პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს გავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 46, ტელეფონი № 87
14 თ

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფეილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. სავავთმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$— საათ. საღ. 6—8 საათ.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ჩამოსული რუსი სტუდენტი**

უკანასკნელი კურსის (8 წლის პრაქტიკით) **ეძებს გაკვეთილს**, ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყოველ კლასში, აგრეთვე მოწავეთ, „ვოლნოოპრედელიაიუშჩის" პირველ და მეორე ხარისხზე, პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლათ და სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ.
თანახმაა აგარაკზე გაკვეთილი აიღოს.
მისამართი: დადიანის ქუჩა სახლი 6. სტ. ალ. კობიაშვილი.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შეწყვიტა.

## ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 23 მაისიდან **პატე ჟურნალი № 341.** მიმდინ. ამბები.

## ქალი, რომელზედაც არ ღირს ლაპარაკი.

ძლიერი დრამა 5 ნაწილად ვავიჩისა და პავლოვის მონაწილეობით.

**ანონსი.** ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან ახალი პროგრამა. **წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.** საფრანგეთის კინემატოგრაფის სინდიკატისა. **ნავთისა და მილიონების სამეფოში**, 1 სერია იბრაგიმ ბეკ მუსარბეკოვის რომანისა კინო დრამა ბაქოელ მუსულმანთა ცხოვრებიდან, სცენარია ა. დ. პაპოვ-პოტიომკინისა, ბ. ნ. სვეტლოვის მიერ დადგმული.

## ელექტრო „ამპირი" თეატრი

ორშაბათიდან, 23 მაისიდან ახალი პროგრამა. **ქრონიკა გომონი 38 ბ** მიმდინარე ამბები.

## ვნებათა ღელვა.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

**ანონსიც:** ხუთშაბათიდან, 26 მაისიდან **წყალქვეშა ნავი და მისი მოწყობილობა.** საფრანგეთის სინემატოგრაფის სინდიკატისა. **მე ვარ მეფე, მონა, ჭია, ღმერთი-** ძლიერი დრამა 4 ნაწ. ცნობილ მსახიობთა გრომოვისა და ნელსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**" და „**რადიუმში**"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

## ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „**ტრინდენისა**". იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოქგურული" ქუთაისი, კახიანოური. თვ.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**(სააგენტოს დეპეშები).**

რუსეთის ასპარეზზე მდ. დვინის მიდამოებში გერმანელებმა სასტიკი სროლა ასტეხეს; ამავე ადგილებში მფრინავებიც მოქმედებდენ.

—

კავკასიის ასპარეზზე ერზინჯანის მიმართულებით ოსმალებს იერიშები მოაქვთ.

——

იტალიის ასპარეზზე, ადიჯესა და ბრენტოს შუა, ბრძოლა მკაცრ ხასიათს იღებს. ლაგარინოს ველზედაც გამწვავებული საარტილერიო ბრძოლაა.

შამპანში გერმანელთა რაზმებმა წინ წაიწიეს, მაგრამ ფრანგებმა მკაცრი კონტრიერიშით უკუაგდეს.

——

„304" მაღლობს და მეორე ხაზის სიმაგრეებს გერმანელები ზარბაზნებს უშენენ.

——

იპრ-კომინის რკინის გზით გერმანელებმა იერიში მიიტანეს. შუადღისას ამ ადგილებში გერმანელებმა წინ წაიწიეს. ბრძოლა გრძელდება.

——

[illegible]არასსა და სოეს შუა საარტილერიო ბრძოლაა.

———

ჩრდილოეთ ზღვაზე 18—19 მაისს გერმანელთა და ინგლისელთა შორის ზღვაზე დიდი ბრძოლა მოხდა, რომელიც დღე და ღამე გაგრძელდა.

——

მოკავშირეთ გადაუწყვეტიათ, ათინის კაბინეტს გულისწყრომა გამოუცხადონ, რადგანაც ფიქრობენ, რომ ბულგარელთა მიერ სიმაგრეების დაპყრობა სკულუდისის თანხმობით მოხდა

**ლონდონი.** 20 მაისი. ინგლისის საამირბარო იუწყება: 18 მაისს დღისით იუტლანდიის ნაპირებთან ზღვაში ბრძოლა მოხდა. ინგლისის ფლოტის მხრით ბრძოლაში მონაწილეობდენ და ბრძოლის მთელს სიმძიმეს განიცდიდენ შემდეგი გემები: ჯავშნოსან-კრეისერების რაზმი, რამდენიმე მსუბუქი კრეისერი, რომელთაც შველოდა 4 სწრაფლ მავალი დიდი გემი. ამ ფლოტის ზარალი დიდია. გერმანიის გემები ცუდად მოჩანდნენ და ამით ისარგებლეს რა წამს ჩვენი მთავარი ძალები გამოჩნდნენ, გერმანიის ფლოტი უმალ ნავთსადგურში დაბრუნდა, რა თქმა უნდა, დიდად დაზარალებული. ბრიტანიის ჯავშნოსანი კრეისერები „კვინ მერი", „ინდეფატიგაბლი", „ინვინსიბლი", კრეისერები „დეფენს", „ბლაკ პრინსი" ჩაიძირენ; კონტრ-ნაღმოსნები „ტიპერარი", „ტიურბულანდი", „ფორტუნი", „ეროხოკი" და „არდენტი" დაიღუპნენ; „უორიორმა" მოძრაობის უნარი დაკარგა; გარდა ამისა კიდევ ექვსი კრეისერის შესახებ ცნობები არ არის მიღებული. მსუბუქ კრეისერთა და დრედნოუტთა შორის არც ერთი არ ჩაუძირავთ. მოპირდაპირის ზარალი სერიოზულია. ერთი ჯავშნოსანი კრეისერი უსათუოდ მოსპობილია, ერთი მძიმედ დაზიანებულია, ერთი დიდი გემი ჩვენი ნაღმოსნების მიერ დაღუპულია, ღამით; ორ მსუბუქ კრეისერს მოძრაობის უნარი დაეკარგა და ალბად ჩაიძირენ. დაღუპულ კონტრ-ნაღმოსანთა რიცხვის გამორკვევა შეუძლებელია, მაგრამ დიდი კი უნდა იყოს.

**ლონდონი.** 21 მაისი. ინგლისის პრესა სრულიად გულდამშვიდებით ეპყრობა ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ შეტაკებას და ინგლისელების ზარალს. „ტაიმს"-ი მოკავშირეთ და ნეიტრალურ სახელმწიფოებს ურჩევს ნახეთ როგორ შეხვდება ინგლისი ზარალს და დანაკლისსაო. „მორნინგ პოსტი" უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გერმანელები დიდ ბრძოლას მოერიდენ და ნავსადგურში გაეშურენო. ეს უფრო აგრძნობინებს გერმანელებს ზარალს. „ვესტმინისტერ გაზეთ"-ი ამბობს, რომ მცირე ძალებით გამარჯვება ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ ეს მაინც ვერ უზრუნველყოფს გერმანელების ფლოტს დაჭერისაგან, ვიდრე იგი ნავსადგურში მიიმალება. ზღვაში გამარჯვება ის იქნებოდა, თუ გერმანიის სავაჭრო გემებს საზღვაო გზა გაეხსნებოდა. ის გამარჯვება არის, როდესაც მებრძოლი ფლოტი ნავსადგურში მირბის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

——

დვინსკთან რუსებმა ჩამოაგდეს გერმანიის მფრინავი ეიერი.

——

რიგის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ბერზემიუნდეს რაიონში მოპირდაპირენი ერთმანეთს ნაღმებს ესვრიან.

——

კურლიანდიის ქალაქებში გერმანელები შრომის ბირჟებს აარსებენ, რომელთა მოვალეობაც იქნება უმუშევარ მამაკაცებს და დედაკაცებს საქმე აღმოუჩინონ.

——

მინსკთან გერმანელების ჰაეროპლანები გამოჩნდენ და ქალაქს ყუმბერები დაუშინეს.

——

ლიახოვიჩზე ამ ბოლო დროს გერმანელებს მედგარი იერიშები მოაქვთ, ქალაქი ნახევრად დანგრეულია

——

ერთ მეცნიერს უთქვამს: დასრულდება თუ არა ეს მსოფლიო ომი, იმ წამსვე უთუოდ სავაჭრო ომი დაიწყებაო. გერმანია, უთქვამს მეცნიერს, ვერას დროს ვერ დასთმობს მსოფლიო ბაზრზე მეტოქეობასაო.

——

ბალკანეთზე ვილჰელმს მოელიან,

——

იმპერატორ ვილჰელმს ხანგრძლივი საუბარი ჰქონია სოც. დემ. ფრაქციის ერთ ერთ წევრთან. საუბრის დროს ვილჰელმს სამოქალაქო ტანთსაცმელი სცმია.

——

გერმანიის იმპერიის კანცლერი ბეთმან ჰოლვეგი საიუდენციოდ მიიღო ბავარიის მეფემ, რასაც დიპლომატიურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ. ბავარიის მეფე ლუდვიგ III წინააღმდეგი ყოფილა ვერდენისკენ კიდევ ახალი ჯარების გაგზავნისა.

——

პრინც ლეოპოლდ ბავარელს პოლონეთის მომავალი ბედის შესახებ უთქვამს: გერმანელებს პოლონეთისადმი არავითარი სიძულვილი და მტრობა არ აქვსთ, პირიქით, გერმანიის მთავრობა მოწადინებულია, რაც შეიძლება იზრუნოს პოლონეთის საკეთილდღეოდ და მის ასაყვავებლად. ამას მოწმობს ის სასწავლებლები და სხვა რეფორმები, რომელიც გერმანიის წყალობით დღეს პოლონელებს აქვთო."

——

ვარშავის გუბერნატორს ბრძანება გაუცია, რომ ყოველი საქმე ვარშავაში სწარმოებდეს პოლონურ-გერმანულ ენაზე.

——

# ომის დღიური.

როგორც ვიცით, ხმელეთის ბრძოლის ასპარეზებზე ყველგან გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებს და ყველა ბრძოლის ასპარეზმა „მოქმედებითი“ ხასიათი მიიღო. გამოურკვეველი და ნერვიული მდგომარეობა სუფევდა დღემდის ზღვის ასპარეზებზე მაგრამ 18 მაისს სიჩუმე ზღვაზედაც დაირღვა, დანიის დასავლეთით ჩრდილოეთის ზღვაში გერმანიისა და ინგლისის საზღვაო ძალებს დიდი შეტაკება ჰქონიათ და ზარალიც ორივე მხარისა დიდია. ბრძოლა ოფიციალ ცნობის მიხედვით ამ რიგათ მომხდარა.

დამატებითი ცნობებით, გერმანიის ესკადრა 18 მაისს, საღამოს 5 საათზე, შეხვდა ინგლისის კრეისერებს. ცოტა ხნის შემდეგ გერმანელებს მოეშველნენ მთავარი ძალები ამიერბარ შეირის მეთაურობით. ბრძოლამ მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო და მერე ინგლისის ფლოტს მოეშველა ოთხი ძლიერი კრეისერი ..

ინგლისის დაღუპულ გემებში „კვინმერი“ იყო მეტად ძვირფასი ძლიერი გემი კრეისერი—ზედრედნოუტი 28 ათასი ტონიან, შეიარაღებული იყო რვა 343 მილიმეტრიანი ზარბაზნით და თექვსმეტი 102 მილიმ. ზარბაზნით ასეთი ღირსებისავე იყო დრედნოუტები „ინდეფატიგებლ“ და „ინვისიბლ“ (20 ათასი ტონა, რვა ზარბაზანი 305 მილიმეტრიანი და თექვსმეტი 102 მილიმეტრ). კრეისერები „დეფანს“ „ბლეკ პრენს“ და „უორიორ“ ძველი ტიპისა იყო. ამის გარდა ინგლისელებს დაეღუპათ რამდენიმე ნაღმოსანი.

გერმანელებს დაუღუპეს კრეისერი—დრედნოუტი „კაიზერ“ (25 ათასი ტონა, ათი 305 მილიმეტრ. ზარბაზანი, თოთხმეტი 150 მილ. და 5 სანაღმო აპარატი), კრეისერი „პომერნ“ ახალი ჯავშნიანი დრედნოუტის ტიპისაა, (13 ათასი ტონა, ოთხი 280 მილიმეტ. და თოთხმეტი 170 მილიმ. ზარბაზანი) ეს კრეისერი ალბად ააფეთქეს ინგლისელებმა, კრეისერი „ლიუცოვ“ დაზიანდა მძიმედ. დაზიანდა „ზაიდლიც“ თუ „მოლტკე“ კრეისერი 2700 ტონიანი, ათი 105 106 მილიმ. ზარბაზანი.

„ბირ. ვედ“. სწერს, რომ გერმანელების ესკადრა შესდგებოდა 22 მსხვილი გემისაგან და ბრძოლის შემდეგ ნავთსადგურებში დაბრუნდა მხოლოდ 17 გემით.

---

ამერიკა უკმაყოფილოა ინგლის-საფრანგეთის საქციელით, რომელნიც ზღვაში ნეიტრალ სახელმწიფოების გემებს ატყვევებენ და თავიანთ ნავსადგურებში მიჰყავსთ.

——

ბალკანეთზე კილინდირთან მძაფრი ბრძოლა სწარმოებს ყუმბარების საშუალებით.

——

სერბიის ჯარი კორფუდან საფრანგეთს გადაყავთ, სერბიის პრემიერ მინისტრი პაშიჩი ავად გამხდარა.

——

შვეციიდან ხორბლის გაზიდვა აკრძალეს.

——

რადგანაც ბულგარეთის ფინანსიური მხარე მეტად უნუგეშოა, ამიტომ გერმანიას აღუთქვამს კიდევ ორმილიარდ მანეთიანი სესხი.

——

ავსტრიის სახელმწიფოს სესხი ამ ჟამად უდრის 23 მილიონ კრონს, ომის დაწყებამდე მას ჰქონია 16 მილიონ კრონი

——

ბულგარეთის მინისტრს რადოსლავოვს გერმანიის დესპანთან უსაუბრია, და სხვათა შორის, უთქვამს, გამარჯვებას მაშინ მივსწვდებით, როდესაც ყველა მტერს ღირსეულ პასუხს მივსცემთ და ბალკანეთზე ჩვენ გავლენას გავაბატონებთ.

——

ეგრედწოდებულ ნიდერლანდიის ინდოეთში გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ინდოელები ინგლისის წინააღმდეგ აამხედრონ.

——

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საზონოვს ინგლისის პრემიერთან საუბრის დროს პოლონეთის შესახებ უთქვამს: ყველაზე გულწრფელად პოლონეთზე ზრუნვა და მისი უბედურების გაზიარება რუსებს მართებსთ პოლონელები ღრმად უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათ ომის გათავებისას უთუოდ მიეცემათ დანაპირები, ე. ი. ავტონომიაო.

——

გერმანიის აწინდელმა საზღვაო მინისტრმა ზღვაში მოქმედების გეგმა ბევრად შესცვალა: წინად გერმანელები მარტო წყალქვეშ ბრძოლას აქცევდენ დიდ ყურადღებას, ახლა ტირპიცი მოითხოვს სხვა გვარ ბრძოლებსაც. მისი ბრძანებით, მოხდა ამ დღეებში ინგლის-გერმანიის ფლოტის გრანდიოზული შეტაკება დანიის დასავლეთით.

——

თალაათბეგ და ენვერ ფაშა მოითხოვენ მისაშველებლად ევროპის ნაწილიდან ახალ ჯარის გაგზავნას.

——

ბერლინის მთავრობამ ნება დართო პრესას შეიმუშაოს საზავო პირობები.

——

ბერლინში არსდება „ცხელი საჭმლით მკვებავი“ ორგანიზაცია, სადაც ხუთასი ათასი კაცი ისადილებს.

——

ინგლისის პრესა ამ ბოლო ხანს უკმაყოფილებას უცხადებს პრეზიდენტს ვილსონს და მას გერმანიის მომხრეთ სთვლის.

——

გარდაცვალებულ გენერალ გალიენის სახსოვრად საფრანგეთის სამხედრო შტაბმა ჯარის კაცებს საჩუქრები დაურიგა

——

ვერდენის ასპარეზს ევროპის პრესა კვლავ გადამწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებს

——

ვერდენის გმირი კრონპრინცი დაჟინებით მოითხოვს, რომ მას ახალი ჯარები მიაშველონ.

——

ქაღალდის კრიზისის გამო ლონდონში ყველა გაზეთი დაპატარავებული ფორმატით გამოვიდა.

——

ოსმალეთის ოფიც. „ტანინი“ სწერს: ამ ომში ჩვენი მოკავშირე გერმანიის მოხმარებით გამარჯვებული გამოვალთ, დაკარგულ ადგილებს დავიბრუნებთ და მერე ოსმალეთი ნამდვილ განახლების გზაზე შესდგებაო. „ტანინი“ აღნიშნავს, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის გერმანია ნამდვილი მეგობარი იყო ოსმალეთისა და მომავალშიც იქნებაო.

## ზავი.

როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის პრესაში ყოველდღეს ომის დასრულებასა და საზავო მოლაპარაკებაზე სწერენ.

საზავო მოლაპარაკების ინიციატორათ: ვილსონს, რომის პაპს და ესპანიის მეფეს, ზოგიერთი მხარე ახლა ხოტბასაც კი ასხამს. ამასთანავე რუსეთის პრესა გადმოგვცემს გერმანიის იმპერიის კანცლერის სიტყვას, რომელსაც განუცხადებია: გერმანია თანახმაა სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყოს, იმ პირობით, რომ ზავის პირობების შემუშავების დროს სახელმძღვანელოდ უნდა მიიჩნიონ ევროპის ქარტის აწინდელი სახე, რომლის მიხედვითაც გერმანიის ხელში რჩება ბელგია, სერბია, ლიუქსემბურგი, მთაშავეთი, ალბანეთის ნაწილი და პოლონეთი.

რასაკვირველია, ასეთ პირობას შეთანხმების სახელმწიფონი არ მიიღებენ და ეს გერმანიის დიპლომატიასაც კარგათ მოეხსენება. მაშ, რას მივაწეროთ გერმანელების მიერ გამუდმებით ზავზე წერა და მათგანვე ისეთ საზავო პირობების წარდგენა, რომელიც მოპირდაპირეთათვის ყოვლად მიუღებელია?

მუდამ დღე ზავზე წერით გერმანიას სურს მოახდინოს ერთგვარი გავლენა, როგორც თავის ხალხზე, ისე უცხოელებზე, რომ მათ თვალში მშვიდობიანობის მოსარჩლის სახელი დაიმსახუროს და შემდეგ უფლება ჰქონდეს, საჯაროდ განაცხადოს: „სამშვიდობო მოლაპარაკება პირველათ მე დავიწყეო“. თორემ დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით და იმ პირობებით, რომელსაც გერმანია უყენებს შეთანხმების სახელმწიფოთ, ზავის ჩამოგდება არ შეიძლება. ეს გერმანიის გამოჭედილმა დიპლომატიამ ზედმიწევნით უწყის.

Ser.

## სამხედრო მიმოხილვა

### საზღვაო ბრძოლა.

სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალთა განწყობილებაში ცხადი იყო ყველასთვის, რომ, თუ გერმანიის ჯარი უპირველესი იყო ხმელეთზე, სამაგიეროდ ინგლისი ზღვის მეფედ ითვლებოდა, რაზეც დიდ იმედებს ამყარებდენ მოკავშირენი. ინგლისის დიდი ფლოტის დახმარებით ლამობდნენ გერმანელთა შიმშილით ამოხოცვას. ეს ვერ შესძლეს და, პირიქით, გერმანელ წყალქვეშებმა საგრძნობი ზიანი მიაყენეს მოკავშირეთა სავაჭრო ფლოტს. მოკავშირენი იმედს მაინც არა ჰკარგავდენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ ღია ზღვაში მოკავშირეთა სამხედრო ფლოტი გაანადგურებდა გერმანიისას. გერმანიის ფლოტი კი ჩაიკეტა თავის ნავსადგურებში. მათი მიზნები ზღვაში მალე გამოაშკარავდენ. ჯერ კიდევ შარშან გერმანელთა ფლოტილია რამდენჯერმე დაეცა ინგლისის სანაპიროებს, გამოიტყუა მტრის ფლოტი თავის ნაპირებისაკენ და იქ გაუმართა ბრძოლა შარშანდელი საზღვაო ბრძოლები პატარა მასშტაბით სწარმოებდა და მუდამ ინგლისი რჩებოდა გამარჯვებული. მიუხედავათ ამისა, გერმანელებმა მაინც არ გაანებეს თავი ამ ხერხს და პირიქით დიდი მასშტაბით გაიმეორეს უკანასკნელი. ეს გასაგებიც არის: რადგანაც გერმანეთის ფლოტს ვერ ძალუძს მოკავშირეთა შედარებით ძლიერ ფლოტს პირდაპირ გაუმკლავდეს, [illegible] ზანულ ომს აწარმოებს ზღვაში. 18 მაისს გერმანეთის რამდენიმე [illegible] შეღებილი ჩრდილოეთ ზღვაში შეჰხვედრია ინგლისის ფლოტს, რომელიც რიცხვით აღემატებოდა გერმანიისას და ბრძოლა აუტეხია. გერმანელებს მალე მოსვლიათ მაშველი ფლოტი შერრის უფროსობით და უპირატესობაც გერმანელების მხარეს გადმოხრილა. ბრძოლა მთელი დღე-ღამის განმავლობაში წარმოებულა. ბრძოლის ბოლოს ინგლისელებს მოშველებიათ ძლიერი ფლოტი. მაშინ გერმანელები უკუქცეულან და თავი შეუფარებიათ ნავსადგურებისთვის.

მოკავშირეთა პრესა, უკანასკნელი გარემოების მიხედვით, დაასკვნის: გამარჯვებული არას დროს ბრძოლის ველს პირველი არა სტოვებსო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ფრთხილ გერმანეთს ურჩევნია როგორც უნდათ ისე ჩასთვალონ მისი საქციელი, ოღონდ კი ფაქტიურად გამარჯვება მას დარჩეს. გამარჯვება კი მაინცა და მაინც გერმანელების მხარესაა. ეს, სხვათა შორის, ცხადია ინგლისის გაზეთის სიტყვებიდან: „ინგლისელები გულდამშვიდებით შეხვდებიან ჩრდილო ზღვაში მომხდარ ამბავსა“-ო; ორივე მხრის დანაკლისის ბალანსი გემთა წყალ-წყვის მიხედვითაც და გემთა რიცხვის მიხედვითაც მაინც ინგლისელებს აწვებათ კისერზე. ამ პირველ დიდსა და მეტად საინტერესო ბრძოლაში ინგლისელები გაცილებით უფრო ცუდ პირობებში იმყოფებოდენ, ვიდრე გერმანელები, რასაც უნდა მიეწეროს გერმანელთა გადარჩენა.

შვერელი.

## სამგლოვიარო წერილი

მრავალტანჯული ჩვენი სამშობლო კვლავ გაეხვია ბნელ ბურუსში. ულმობელმა სიკვდილმა კიდევ გამოგვაცალა ხელიდან სამშობლოსათვის თავდადებული და დაუღალავი მებრძოლი, იროდიონ ევდოშვილი, რომლის წინაშეც ვიდრეკთ მუხლს და ჩვენც ჩვენს ღრმა მწუხარებას ვუერთებთ საერთო ქართველი მშრომელი ხალხის გლოვას და მის დაუსრულებელ ტანჯვა—გოდებას.

კალერია ბოჭორიშვილი სეფე ლეჟავა, ნიკოლოზ ვეფხვაძე, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, ვარლამ სვანიძე, სპირდონ კიკნაძე თამარა იაშვილი, თამარა წულუკიძე, მღვ. ანანია კიკნაძე მარუსია ამაღლობელი, კოლია გურგენიძე, ვალენტინა ლომსაძე, ბეს. მუმლაძე, დ ჯღანჯავა, აკულინა და ქეთო ხარაძე, კოლია დეკანოიძე, ანნა საძაგლოვისაა, ნიკო ჭუმბურიძე, ნიკოლოზ დევდარიანი, ვანო იაშვილი, პარმენ კამკამიძე, დომნა დეკანოსიძე

---

## გუშინ და დღეს.

### წერილი ლ. დარჩიაშვილისა

### II.

### თავად-აზნაურობა.

(დასასრული იხ. „სამშ.“ №. 362.)

ნებივრობას და ფუფუნებას დაჩვეული ბრწყინვალე წოდება ერთ დღეს ვერ გამოიცვლიდა თავისს ზნე-ხასიათს მათ გალაღებულ ფანტაზიას მუდამ ევლინებოდა წარმტაცი სურათი: „მეფე განცხრომაშია“ და, როგორც ტახტის შვილებს, უნდა დაეცვათ თავიანთი პრესტიჟი, ვერ მოიშლიდენ ქეიფს. მაგრამ დრო მიდიოდა და თავადების ქვევრებიც იწრუტებოდა, ბეღლები ცარიელდებოდა, ბატონების საუცხოვო კარმიდამოზე შაშვი ამოდიოდა, მამულები საითკენღაც მისცურავდენ, უძრავი ქონება მოძრაობდა და ილესებოდა ბანკების კასაში. „დიდი რეფორმის“ ქარტეხილს მხოლოდ ერთი მუჭა თავად-აზნაურობა გადაურჩა, ესენი არიან, უმთავრესად, ჩვენი დღევანდელი აგრარიები, მემამულენი. მეორე ჯგუფი ჩაეწერა რაინდების გუნდში და, რაკი მათ გარეშე მტრების მოსაგერებლად აღარ იწვევდნენ, თავიანთსავე მოძმეებზე იკმაყოფილებდნენ თავის ატავისტურ ინსტინქტებს. ხოლო დიდი უმრავლესობა დაწვრილმანდა და დახურდავდა წვრილ მემამულეებად. აქ ხშირად დიდ სიღარიბეს და სილატაკეს ვხედავთ; აქ, დაბალ საფეხურებზე, იშვიათი არ არის. რომ სირცხვილის გრძნობას ვერ იფარავენ შეურაცხყოფისაგან; არის იმის მაგალითებიც, რომ თავადები ქირაზე სამუშაოდ მიდიან...

როგორ გაუწიეს ანგარიში ამ ეკონო-

— „ოხ, დრონი, დრონი, ნაქებნი მარად, წარვიდენ, განქრენ სიზმებრივ ჩქარად“... მოსთქვამდა პირველ ხანებში, ჩვენი ბრწყინვალე წოდება, მაგრამ სამგლოვიარო ძაძა მალე გადაიძრო მან. სთქვა: მახლას! და შემოესმა თავისებური ქართველური, ძველი „მრავალჟა...“ გაიმართა, ნადიმები. დიაღ, ბატონის საკადრისი, ნადიმები, სასახლეებსა და ქოხებში, დარბაზებსა და ბაღებში, სასტუმროებსა და სარდაფებში, მდიდრულად მორთულ, გაბრწყინვებულ სტოლებზე, თუ ბუნებრივ მწვანე ხავერდის სუფრაზე გაისმოდა მათი გაუთავებელი „ლოთებო, ნეტავი ჩვენ.... ახ, მეზურნე დაჰკა“.... თავადებსა და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდი ამ დროს პირველად გაამთელეს „ძმა ბიჭებმა“. ჩვენი თავადობა ისეთის თავ დავიწყებით მიეცა ქეიფსა და დროს ტარებას, ისეთის სალხინო ხმებით სძრავდა ჩვენი ქვეყნის მიდამოს, რომ კაცს ეგონებოდა, ჩვენისთანა ბედნიერი არსად იყო სხვაგან ერი საინტერესოა, რომ ერთი ინგლისელი, საუკეთესო უცხოელი მოგზაური, რომელიც ჩვენ ქვეყანას სტუმრებია როდისმე, თავისს სქელ წიგნს საქართველოს შესახებ ასეთ სათაურს აძლევს: „მოგზაურობა ღვინის, ქალების და სიმღერების ქვეყანაში“.

ეს იყო გუშინ.

დღეს კი სხვასა ვხედავთ. რა თქმა უნდა, დიდი არაფერი შეცვლილა, მაგრამ ჩვენი თავად-აზნაურობა მაინც, ასე თუ ისე, ჩაუთრევია ახალ მოძრაობას, დღეს ისიც ბჭობს, თათბირობს საქვეყნო საქმეებზე, და ესეც დიდად საგულისხმოა მართალია, ჩვენი თავად-აზნაურობა უკან ჩამორჩა რუსის თავადობას, რომელიც

და გადაჭრით აცხადებს—არ დამშვიდდეს, ვიდრე მასაც დანარჩენ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და კლასებთან ერთად არ მიენიჭება გადამწყვეტი, საკანონმდებლო ხმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში... მართალია, ჩვენ თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ძველ გამათახსირებელ წოდებრივ აზროვნებისათვის; მართალია, იმათ კრებებზე, იმათ თათბირზე გვესმის სამარცხვინო თავის მომჭრელი მსჯელობა, გულ-გონების ამღშფოთებელი სიტყვები; მართალია, ყველა ეს,—მაგრამ ისიც კი მართალია, რომ ამ თავად-აზნაურობის ერთ ნაწილს—მცირეს, რა თქმა უნდა,—უკვე გამოუფხიზლნია და სერიოზულად ცდილობს სათანადო მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე მოძრაობაში.

დღეს ჩვენ თავად-აზნაურობაშიც ვხედავთ კაცებს, რომელნიც მართლა აზრიანად და ნამდვილ მამულიშვილურ გრძნობებით გამსჭვალულნი მიმართავენ გლეხობას: თქვენსა და ჩვენს შორის დიდი ღვარძლი, დიდი სიძულვილი და შურის ძიება დათესა საუკუნოებმა, ბევრი შავი დღე, ბევრი უსამართლობა გინახავთ ჩვენგან წარსულში, ბევრ უსამართლობას და სიდუხჭირეს ჰხედავთ დღესაც,—მაგრამ, ნუ თუ გგონიათ ამ უსამართლობას აღმოფხვრით, ჩვენ შორის დავას გადაწყვეტთ ცეცხლითა და მახვილით? ნუ თუ გგონიათ, რომ ცეცხლი ჩაქრება იმით, რომ ზედ ნავთი გადაასხათ? ნუ თუ გგონიათ, რომ ერთმანეთის ჟლეტა და განადგურება შეჰფერით იმათ, ვისაც სწყურიან სიცოცხლე, ცხოვრება, გაუმჯობესობა, განვითარება? თქვენსა და ჩვენ შორის სამიწადმფლობელო და წოდებრივი საქმეებია გადასაწყვეტი, ეს არის მიზეზი მთელი დავიდარაბის, მთელი უბედურებისა, მაგრამ,

ნუ თუ გგონიათ ამაში ბრალი ედება და ან ამის გადაწყვეტა შეუძლიან რევაზს ანუ ვახტანგს და ან კერძოთ რომელსამე თავადს? არა და არა, ათასჯერ არა! ეს საზოგადო, სახელმწიფო საქმეებია და ამ საქმეების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ გზით, ე. ი. კანონით. და განა მარტო თქვენსა და ჩვენს შორის არსებობს სამიწადმფლობელო საქმეები? თვითონ ჩვენ, თავადებსა და სხვა თავისუფალ მესაკუთრეთა შორისაც ჯერ კიდევ აწეწილ-დაწეწილია. ზოგჯერ თავადებიც კი ერთმანეთს თავ პირს ამტვრევენ მიჯნების თაობაზე, ვერ მორიგებულან, ვერ მოშველებულან და ვერ გაუგიათ, რომელი რომელს ეკუთვნის, ვის რა უფლება აქვს. და აბა, ერთი მითხარით, როგორ უნდა შევიმუშაო მამული, როგორ უნდა დავაბანდო შიგ ფული, თუ კი არ ვიცი ის ჩემია, თუ შენი; თუ ჩემია, ხვალაც მევე ვიქნები პატრონი, თუ ფეხზე დაყენებული საქმე და წარმოება სხვაზე გადავა? როგორ უნდა შევეცადო საქმეს, თუ კი არ შემიძლიან იგი დავიწყო და ვაწარმოვო ჩემი სურვილისამებრ, თუ კი იძულებული ვარ სხვას ვეკითხებოდე თანხმობასა და ნებართვას? და შენ რომ უმიწა-წყლობით სული გეხუთებოდეს, როგორ იფიქრებ ცხოვრების გაუმჯობესობაზე, თუ კი შენ გვერდითვე მდებარე თავისუფალ ადგილზე შენ არ გადაგიშვებენ და სხვა? გადამთიელს ჩამოგისახლებენ? და კიდევ რა ჩამოვთვალო, რამდენი რამეა მოუწყობელი და მოუწესრიგებელი... თქვენ, ზოგიერთი, ვითომ და სოციალისტები გაგონებენ, რომ კერძო მესაკუთრეების ადგილ მამული აქვე, დღესვე, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ხალხს, ამათ უნდა ამუშა-

ონ ყველაფერი ერთობით, ძმურად და ძმურადვე იყოფდენ ნამუშავარს. მაშინ მოისპობოდა სიღარიბე და სიმდიდრე, რადგან ყველანი მდიდრები თუ არა, დიდად ღონიერნი და შეძლებულნი იქნებოდნენ. კაცებო, ხალხნო, თუ კი ეს აგრეა, თქვენს პირს შაქარი! თუ კი დღესვე შესაძლებელია განხორციელდეს ძმობა და თანასწორობა, თუ კი დღესვე შეიძლება თხა და მგელი ერთად სძოვდეს და დამყარდეს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, რაღას ვუყურებთ? ვინ იქნებოდა ამის წინააღმდეგი, გარდა თითოოროლა მყვლეფავთა და მტაცებელთა, რომლებსაც ადვილად მოვიგერიებდით შეერთებულის ძალით? მაგრამ, ვაი, რომ დღეს-დღეობით ყველა ეს მხოლოდ სიტყვებია, სიტყვები, ცარიელი სიტყვები და მეტი არაფერი.

დამერწმუნეთ, ნამდვილი ჭეშმარიტი სოციალისტი არასოდეს არ შეგიყვანთ შეცდომაში, თქვენი ნამდვილი მეგობარი, ჭეშმარიტი სოციალისტი არ გეტყვით იმას, ვითომ საგანი და მიზანი ქვეყნის დღევანდელ მოძრაობისა და მღელვარებისა იყოს დღესვე სოციალიზმის განხორციელება, ანუ ადგილ-მამულების, მიწის განსაზოგადოებრიობა, რაიც ერთი ცოცხალი ნაწილია საერთო, მთელი სხეულისა — სოციალიზმისა. დამერწმუნეთ, არა! ძმობა, თანასწორობა დიდი რამეა, დიდებული საქმეა და ამის განხორციელებასაც დიდი ფიქრი, დიდი აზრი უნდა, დიდი გული და დიდი გონება. ნუ თუ დღეს ჩვენ ამების შნო და უნარი გვაქვს, ნუ თუ დღეს ამის ძალ-ღონე გაგვაჩნია? კაცებო, არ გახსოვთ რა მოხდა შარშან სოფელ ა—ში? მთელმა სოფელმა ერთად აიღო სახელმწიფო ტყე, რომ ერთობით გაეკეთებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული პრესა.

ლ. დარჩიაშვილის შესახებ ბ-ნი ივ. გომართელი სწერს „თეატრსა და ცხოვრებაში“.

აზროვნების სფეროში გამბედავი, მეტათ გულახდილი, დაუფარავი, ცხოვრებაში კი მორცხვი, ჩუმი, მორიდებული,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ადამიანი, რომელიც ბევრსა ჰფიქრობდა და ცოტას ლაპარაკობდა; ადამიანი, რომელიც ბევრს აკეთებდა და მუდამ ჩრდილში დარჩენას კი არჩევდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ადამიანი, რომელიც მუდამ სხვის წყენას, სხვის შეწუხებას ერიდებოდა,—აი ლადო დარჩიაშვილი.

ლადო მეტათ ლამაზი პიროვნება იყო, ერთობ განსხვავებული, მეტათ განირჩეოდა სხვებისაგან. ამის გამო ის ხშირად გაუგებარი, უცნობი რჩებოდა.

ის მუდამ მზათ იყო, ყოველისფერი მოეცა თქვენთვის, ნაცვლათ კი არაფერი არ უნდოდა, არაფერს არა გთხოვდა.

გულით წრფელი და სულით წმინდა—აი ლადო დარჩიაშვილი.

რა შეურაცხყოფაც უნდა მიეყენებიათ მისთვის, ის სამაგიეროს არავის არ გადაუხდიდა და თავის სულში ყოველთვის ნახავდა იმდენ ძალას, რომ აღელვებულ გულის თქმას არ აჰყოლოდა.

ის იყო ჭეშმარიტი სოციალდემოკრატი და ნამდვილი დასელი, ხოლო ეროვნულ საკითხში ძველ დასელებს არა ჰგავდა: მას ღრმათ სწამდა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის კეთილდღეობა ეროვნულ საკითხში საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას ითხოვს.

ამგვარი რწმენის საჯარო ქადაგებისთვის მას სასტიკათ, მკაცრად მოექცნენ მისი ამხანაგები.

ნურავინ იტყვის: პარტიის სიმტკიცე, მთლიანობის დაცვა ამას მოითხოვდაო.

ასეთი სისასტიკე არ იყო არავისთვის საჭირო, ასეთი სიმკაცრე არ არის შესაწყნარებელი.

სიმკაცრესა და სისასტიკეს ბოლოს და ბოლოს იმისთვის მოაქვს ზიანი, ვინც მას იარაღათა და ფარხმალათ ხმარობს.

აზროვნების სფეროში მეტი თავისუფლება—აი რას მოაქვს მხოლოდ საბოლოო ნაყოფი.

ლადოს კი ერთი საყვედური, ერთი მკაცრი სიტყვაც არ წამოსცდენია: ის მშვიდათ, წყნარათ, სიკეთით სავსე გულით ზიდავდა თავის ჯვარს და მას რომ ლოდს ესროდენ, ის კენჭსაც კი არ აიღებდა სხვის სასროლად.

ვაჟას ერთ მოთხრობაში მთის წყარო ამბობს:

— რავქნა, მე ვერავის მივაფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონო!

ეს სიტყვები ლადო დარჩიაშვილზეა გამოჭრილი.

ის იყო წმინდა წყარო, რომელსაც არ შეეძლო ტალახის, ჭუჭყის მოტანა,—ის ვერავის შეაფურთხებდა.

ეროვნული საკითხის გადაჭრის ნიადაგზე მას განსაკუთრებული მიმდინარეობის შექმნა კი არ უნდოდა მარქსიზმში, როგორც ეს ფ. მ—ს ჰგონია „თანამედროვე აზრში“, მას უნდოდა, ახალი ხანა შეექმნა მესამე დასის ისტორიაში და შექმნა კიდეც.

მესამე დასი არ ატარებს საკუთარ სახეს, ის არ არის ჩვენი ერის ცხოვრებაში საკუთარის მეობით,—ის არის ხელქვეითი ნაწილი და მორჩილი რუსეთის მუშათა პარტიისა. ეს არის პირველი ხანა, მაგრამ მუდამ ამ მდგომარეობაში დარჩენა და დაბერება შეუძლებელია: მესამე დასი უნდა გადიქცეს ნამდვილ ეროვნულ დასათ, მან უნდა მიიღოს ტერიტორიალური ავტონომია ეროვნულ საკითხში და გამოაცხადოს თავისი თავი დამოუკიდებელ, ქართულ მუშათა დასათ.

თავის განვითარების გზაზე მესამე დასი ვერ ასცდება ამ საფეხურს და ადრე თუ გვიან უსათუოდ მოვა ლადო დარჩიაშვილთან.

ნეტავ როდის გათენდება ეს ბედნიერი დღე!—დაუმატებთ ჩვენ.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

◆ საგუბერნიო სამმართველოს საექიმო განყოფილებამ ქალაქის გამგეობას უკანვე დაუბრუნა რამოდენიმე სანიტარის მიერ შედგენილი ოქმები. მასთან აღნიშნულია, რომ ოქმის შედგენის დროს აუცილებელია თანდასწრება სანიტარო ექიმისა ან რომელიმე პოლიციელისა.

ესევე განყოფილება ატყობინებს ქალ. გამგეობას, რომ ქალაქის საავადმყოფოსთან ასაგებ გადამდებიან სნეულებათა საავადმყოფოსათვის გახსნილია კრედიტი 4,703 მ. და 39 კ.

◆ ქართ. შორ. წ.-კ. გამ. საზ. ხონის განყოფილების გამგეობის თავჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გამართოს ამავე საზოგადოების სასარგებლოთ სეირნობა დ. ხონში 20 კვირიკობისთვის, ხოლო თუ ცუდი ამინდი იქნება ამ დღეს, მაშინ 15 აგვისტოსთვის.

◆ ხონის ქალთა წრის თავჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება მიეცეს მღ. იოანე რუხაძეს ამ საზ. წევრთა შორის წაიკითხოს ლექცია შემდეგ თემებზე. ა) ნიკ. ბარათაშვილი და მისი მოღვაწეობა, ბ) დანიელ ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“ და გ) დავით კლდიაშვილი და მისი საზოგადო მნიშვნელობა ჩვენს მწერლობაში.

◆ 22 მაისიდან, ქუთ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში დაიწყო ამავე ბანკის რწმუნებულთა კრება. თავჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ქალაქის გამგეობის წევრი ბ ნი პავლე მოსიძე

◆ ქ. ხარკოვში აპრილის პირველ რიცხვებში დაატუსაღეს სტუდენტი სეფე ხამასურიძე, რომელიც დღესაც დაკავებულია.

◆ კოოპერაცია. ბევრი ყოყმანის შემდეგ, როგორც იყო რკინის გზის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს გახსნან ქუთაისში სადგურის მახლობლად საამხანაგო დუქანი. ამ სიმპატიურ საქმეში დახმარებას უწევდა ინჟინერი ზემსკოვი.

◆ სალორიაში ეს ერთი ხანია გაჩნდა ერთი ჯგუფი ახალგაზდებისა, რომელიც დღისით კარტ-ნარდით ირთობენ თავსა და ღამე კი რევოლვერს ისვრიან და ფანჯრებს ამტვრევენ თურმე. საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს.

◆ სოფ. ბახვში 18 მაისს სტუდ. ვლ. ხაინდრავამ წაიკითხა ლექცია „ომი და ზავი“.

◆ 22 მაისს ამავ სოფელში წარმოადგენენ „მეგობრებს“.

◆ მხატვარი დათა ისაკაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას 13 მაისს სხვა დასხვა ნივთთან ერთად ბინიდან (მეორე ალექსანდრეს ქ.) მოპარეს პასპორტი და სხვა საბუთები, რომელიც მისთვის მეტად საჭიროა.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურ. „სკოლა და ოჯახი“ს მორიგი 4 ნომერი, ჟურნალი ბევრ საინტერესო სასკოლო საკითხებს ეხება და საინტერესოა.

◆ მეფის მოადგილის კანცელარია ატყობინებს ქუთ. გუბერნატორს, რომ დაუყონებლივ შეატყობინოს: არსებობს თუ არა ქუთ. გუბერნიაში მტრედების მომშენებელი საზოგადოება ან შეიძლება ვინმე კერძო პირს ყავდეს გაწვრთვნილი საფოსტო მტრედებიო.

◆ ამას წინათ ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ქალაქისათვის სახალხო სახლის ასაშენებლათ მიეცათ სუბსიდიათ 100 ათასი მანეთი. ამის შესახებ მეფის ნაცვალი აცნობებს გუბერნატორს, რომ ეს შუამდგომლობა არ იქნება შეწყნარებული რადგანაც ომის გამო დიდი ხარჯები აქვს ხაზინასაო. საჭიროა ხელახალი შუამდგომლობა აღძრან ომის შემდეგაც.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ 16 მაისის დადგენილება ხორცის ნიხრის შესახებ პირველი ხარისხის ღირება ექვს შაურათ, მეორესი კი ხუთად.

◆ **სასამართლოს ქრონიკა.** ქუთ. საოლქო სისხლის სასამართლოს განყოფილებაში დანიშნულია გასარჩევად შემდეგ პირთა სისხლის სამართლის საქმეები:

27 მაისს, ა) აბრამ მეგრელიშვილის, ბ) სევერიანე ჭკუასელის და დ) ზეირა მიქელაძის; 28 მაისს ა) ანასტასია ბოკუჩავასი და სიმონ რთხუასი. 31 მაისს ანანია კერკაძისა, ივანე გორდაძისა, პორფილე ციკორიძისა და არჩილ ჩხობერიძისა.

### სოფლად.

— მდ. ჭიგურაში დამხრჩვალი ნახეს ს. ძირულის მცხოვრები ილია აბულაძე, როგორც გამოძიებამ დაამტკიცა, ის წამოსულა ქუთაისს ივანე ცეცხლაძესთან ერთად. პოლიციამ გაჩხრიკა ხეცაძე და მაშინდელი ნაცვამი ჩოხა სისხლით იყო ამოსვრილი. ხეცაძე ამ ჟამათ კავკასიის მეთოთხმეტე მსროლელთა პოლკში არის.

— გაზეთ „სამშობლოს“ ერთ ერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი ამ სათაურით „მოსე მწერლები“. მწერალმა მ—ძემ, რომელსაც, სხვათა შორის, ეხება ეს წერილი და რომელიც ორივე ხელებ დამუქნული გარბოდ-გამორბოდა ქუჩაში და ეძებდა წერილის ავტორს, წაკითხვისთანავე დაკეცა გაზეთი და გაუყენა გზას სამკითხველოდან. ალბათ იმ მოსაზრებით, რომ მოესპო მკითხველთათვის საშუალება გასცნობოდენ წერილის შინაარს. ბ. მ—ძისაგან ჩვენ ეს არ გვიკვირს, არც არაოდის მოველით მისგან უკეთეს, მხოლოდ გვინდა ვიცოდეთ სთვლის თუ არა ხარაგოულის სამკითხველოს გამგეობა საჭიროთ აღდგენილ იქნას წესიერბა სამკითხველოში, რომ ასეთს ამბებს აღარ ექნეს ადგილი და თუ სოფლის რა დროიდან?!

— ს. ამაშუკეთის. მცხოვრებს საჩინო წიქრიშვილს ყაჩაღები დაეცენ და სასიკვდილოთ დასჭრეს. საქმის გარემოება ასეთი იყო: წიქრიშვილმა სალხი გაყიდა და ფული იმ დღესვე სხვას გადასცა. ყაჩაღები ღამე სახლში თავს დაეცნენ, მაგრამ ფული 5 მან. მეტი არ აღმოაჩნდა. ყაჩაღებს ეგონათ, ფული დამალაო, დასჭრეს ცოლქმარი და მიიმალნენ. მეორე დღეს ადგილობრივმა ბოქაულმა ბ-მა ესაძემ სწრაფლ გამოძიება მოახდინა და ეჭვით შეიპყრო ლავრენტი მეგრელიშვილი.

## 43 აჭარელი.

მკითხველი ოფიციალი ცნობით შეიტყობდა, რომ ამ დღეებში ქ. ბათომში დასრულდა 80 ქართველ მაჰმადიანის გასამართლება, რომელთაგანაც 43 აჭარელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მხოლოდ სხვა დანარჩენ 36 ზოგს კატორღა და ზოგს ციხე. სასამართლოს ამ განაჩენის შესახებ არ შევვიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ.

როდესაც, რომელიმე პირი სახელმწიფოს წინაშე მოღალატეა და მას, არსებულ ძირითადი კანონების შესაფერ მუხლის ძალით, ასამართლებენ, ამ დროს ვის რა ეთქმის.

— „ერის მოღალატე უნდა დაისაჯოსო, ამბობს სენატორი კატონი“. მაგრამ სამწუხარო და თან ალსაშფოთებელი ის არის, როდესაც ისეთ ხალხს, რომელსაც სიტყვა ღალატიც კი არასოდეს არ გაუტარებია გულში, თავისთვის ღარიბათ სცხოვრობდა ძმათაგან გარიყული ერთს ბედკრულ მხარეში და აი, ამ მხარეში როდესაც უცხო მტერი შემოიჭრა და ამ ღარიბ ხალხის მამულ დედული და სარჩო საზადებელი ცეცხლის ალს მისცა, მაშინ უმეტესმა ნაწილმა კლდე-ღრეს შეაფარა თავი, ძ მხოლოდ მცირედი ნაწილი მტერმა ძალით ჩაიგდო ხელში. აი მთელი ღალატი...

საქართველოს მტრები სიხარულს მიეცნენ და აჭარელთა ღალატს დიდის სიხარულით მთელ ქვეყანას აუწყებდენ, ნამდვილად კი მოღალატენი და გაიძვერები თვითონ იყვნენ.

ამ ბრმა ხალხს ის ვერ წარმოედგინა, რომ წინააღმდეგობას სჩადის ყოველთვის ამისთვის სათანადოთ მომზადებული ნაწილი, მხოლოდ აჭარელს, რომელსაც ლუკმაც ვერ ეშოვნა და ცოლშვილი ხეირიანათ ორჯერ ვერ გამოეძღო წლის განმავლობაში რაღა ღალატის ჩადენა შეეძლო!

მაგრამ მოგეხსენებათ გასულ წელს აჭარის ერს ეს ყოვლად უმართებლო ბრალდება ახლად ჩამოსულმა მეფის ნაცვალმა და მერე თვით იმპერატორმაც თავიდან ააშორეს...

ეს მოხდა ამ ნახევარ წლის წინად. დღეს კი, როგორც ეტყობა, უმაღლესად მიღებულ სამართალს ძალა დაჰკარგვია და აჭარლებს კვლავ შავმა ყორანმა დასჩხავლა... 43 აჭარელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

რამ გამოიწვია ასეთი უკიდურესი რეპრესია, ჩვენ არ ვიცით.

რომელნიც აჭარლებს ოქროს პენსნებით უცქერიან და მათი ვინაობისა, ზნე-ჩვეულებისა და სულის კვეთებისა არაფრისგან არაფერი გაეგებათ მეტად ცუდ გავლენას ახდენს მოელ ქართველებზე, რომელიც არ მოელოდა აჭარლების კვლავ მოღალატეთ აღიარებას.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქართველ გავლენიან პირს, თუ მათ თავის მოძმე სწამთ, გამოესარჩლონ აჭარელთა საშინელ ბედს და მიჰმართონ უმაღლეს მთავრობას, მათ უმართებლო ბრალდების თავიდან ასაცილებლად.

ამას მოითხოვს ჩვენი გულწრფელი მოვალეობა მოძმისადმი.

ირ—დი.

## მოწოდება

(სახ. მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებისაგან)

ამა წლის პირველ იანვრიდან ქუთაისში სათანადო მთავრობის ნებართვით დაიწყო მოქმედება ქუთაისის გუბერნიის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებამ. ამ საზოგადოებას მიზნად

---

და ერთობით დამუშავებული ერთადვე გაეყოთ, მაგრამ, ძმობის ნაცვლად, ერთმანეთს სჭამდნენ, ვიდრე არ გაიყვნენ, არ განცალკევდენ და საერთო საქმესაც თავი გაანებეს. არა, არა, დღეს ჩვენ ამეების თავი არა გვაქვს. ჯერ ჩვენ, კაცმა სიმართლე უნდა თქვას, შრომაც კი არ ვიცით, შრომა აზრიანი, შრომა შესაფერი ახალის დროისა. ის, რაც ჩვენ ორსა და ოთხ დესეტინაზედაც ვერ მოგვყავს, უცხო განათლებულ ქვეყნებში ერთსა და ორ დღიურზე მოჰყავთ. და ეს მაშინ, როცა ჩვენებური მიწა გაცილებით ურო ნაყოფიერია ბუნებრივად, ვიდრე უცხოელებისა. არა, არა, დღეს ჩვენ ბევრი, ბევრი რამ გვაკლია, დიდებული საქმეების თავი არა გვაქვს და მოდი, პატარასაც ნუ დავკარგავთ, ხალხნო! ეს პატარა, ეს ცოტა საქმე, რაც დღეს უნდა გაკეთდეს, ნამდვილად დიდ მნიშვნელოვანია, მეტად დიდი რამეა ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. იგი აამოძრავებს ჩვენ დავრდომილ-დახავსებულ ცხოვრებას და ძალუმად გააქანებს წინ უკეთეს, დიდებულ მერმისისაკენ

ახლა ისიცა ვთქვათ, მართალია, ვითომ ჩვენ თავად-აზნაურობას ქვაცა აქვს და კაკალიც, ცხოვრებაც და სიკეთეც? ხალხნო, აბა, დაუფიქრდით, აბა, მოიგონეთ, განა თავად-აზნაურებში ვერა ჰხედავთ ისეთებს, ვისაც კუჭი უხმება უსაქმლობისაგან, ხორცი ეწვება ჩაუცმელობისაგან. ვინც გამოყეყეჩებული დახეტიალობენ ამ ქვეყანაზე და სიბნელეში დაბადებულნი სიბნელეშივე იხოცებიან? რა ვუყოთ, რომ ისინი თავად აზნაურებად ირიცხებიან? ისინი ხო მაინც თქვენისთანა ადამიანები არიან? და რატომ არ უნდა იძმოთ და იმოყვროთ ისინი, ვინც თქვენსავე გაჭირვებაში არიან, თქვენს ტაფაშივე იხრაკებიან; რატომ ისინიც თქვენთან არ უნდა იყვნენ ჭირსა და ლხინში? მაგრამ, ვთქვათ, ღარიბ თავად აზნაურთა რიცხვი პატარა უმცირესობაა, ვთქვათ, დიდ უმრავლესობას კი მართლა დიდი მამულ-დედული აქვს. ერთი მითხარით, რა თავში ვიხლი მამულ-დედულს, თუ ის ოხრად, გამოუსადეგრად ეგდება, ან არ შემეძლება ის ამოვაღებინო, რის მოცემაც მას შეუძლიან; რა თავში ვიხლი მამულს, თუ არ მექნება ახალი, გაუმჯობესებული სამუშაო ხელსაწყობი, სამეურნეო მაშინები, თუ არ შემეძლება მოსავალი ბაზარზე გავიტანო და ფულად ვაქციო? და აბა, საიდან მექნება ხელსაწყობი და მაშინები, როცა, აუარებელი ბაჟების გამო, იმათი შეძენა ხელს აღარ მაძლევს? როგორ გავიტანო მოსავალი ბაზარზე, როცა შესაფერი სამიმოსვლო გზები არ გვაბადია; და გზებიც რომ იყოს, სად ვიპოვო ბაზარი, როცა ვაჭრობა-მრეწველობა სულსა ჰლაფავს, ხალხი გაღატაკებულია და ყველანი საერთო სიბნელეში ვიმყოფებით?

აი, ასე მსჯელობენ და მოქმედობენ ჩვენი თავად-აზნაურობის გონებრივად ჭეშმარიტი „თავადნი“, ზნეობრივად ჭეშმარიტი, „აზნაურნი“.*)

**ვლ. დარჩიაშვილი.**

*) აბა, კარგად ჩაუკვირდი, მკითხველო, რამდენი წრფელი გრძნობა, ნათელი აზრი და სამართლიანობაა ჩაქსოვილი ამ წერილებში!

ვინც გაიხსენებს რა ამბებიც ხდებოდა იმ დროს სოციალიზმის სახელით, დაგვეთანხმება, რომ ლადო დარჩიაშვილის გამოსვლა, მისი მედგარი ხმა, ხმა იყო ციდან მოვლენილის ანგელოზისა, **ძმობა-ერთობის ნამდვილი მქადაგებელისა** და არა გაბოროტებულის, თავ-აწყვეტილის შურის ძიებისა! მაშინდელ დასელებში ლადომ პირველმა დაიწყო ჩვენში არსებულ „კლასთა“ შორის თანამშრომლობაზე ქადაგება და მით ახალი სხივი შეიტანა ჩვენს ბნელ ცხოვრებაში, მაგრამ, ვაი, რომ ხმა მისი დარჩა უბანოდ და თვით ლადოც უდროოდ დაიღუპა!.-

**რედ.**

აქვს დასახული, იზრუნოს ყველა უწყების დღევანდელსა და ყოფილ სახალხო მასწავლებელთა ნივთიერი და ყოფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, დააკმაყოფილოს მათი სულიერი მოთხოვნილებანი და ხელი შეუწყოს სახალხო განათლების საქმეების გაუმჯობესებას. ზემოაღნიშნული მიზნის შესასრულებლად საზოგადოება მთავრობის ნებართვით მოაწყობს: 1) ადგილის მოსაძებნ ბიუროსა და თავშესაფარებს იმ პირთათვის, რომელთაც ავათმყოფობისა გამო შრომა აღარ შეეძლებათ 2) ურთიერთ დამხმარე კასას. 3) შემნახველ-გამსესხებელ კასას. 4) უფასო საექიმო და იურიდიულ დახმარებას 5) სამარხ კასებს. 6) გამართავს სანატორიუმებს; 7) შემწეობას აღმოუჩენს თავის წევრთა შვილებს აღზრდის საქმეში სტიპენდიების დანიშვნითა და სესხის მიცემით. 8) გამართავს ლექციებს, კითხვა-საუბრებს, კურსებს 9) მოაწყობს ექსკურსიებს, 10) ხსნის ბიბლიოთეკებსა და წიგნების საწყობებს. 11) გამოსცემს წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. 12) გამართავს მუზეუმებს და სასკოლო გამოფენებს 13) სამასწავლებლო სახლსა და ბინას ქუთაისში ჩამომსვლელ წევრთათვის ღამის გასათევად 14) ხსნის მაზრებში ფილიალურ განყოფილებებს და სხვა. ერთი სიტყვით, საზოგადოება ღებულობს ყოველ გვარ ზომებს სახალხო განათლების საქმეების უკეთ მოსაწყობად და სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საზოგადოების სამოქმედო რაიონად ითვლება ქუთაისის გუბერნია, მთავარი გამგეობა არსებობს ქუთაისში; საწევრო გადასახადია წელიწადში სამი მანეთი, რაც შეადგენს საზოგადოების საშუალებას. როგორც დაინახავს პატივცემული მკითხველი, ეს საზოგადოება მაღლა სდგას სხვა კულტურულ დაწესებულებებზე და ბევრი საყურადღებო, სასარგებლო და სიმპატიური საქმეც აქვს გასაკეთებელი. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა საშუალება, რომელიც მარტო საწევრო ფულით ვერ გაძლიერდება. ყველას მოეხსენება, რომ სახალხო მასწავლებლები, რომლებიც გაფანტულნი არიან სხვადასხვა მივარდნილ სოფლებში, შეძლებისა და გვარად ჰფენენ სწავლა-განათლების სხივებს და ემსახურებიან ხალხის გათვითცნობიერების საქმეს; ნივთიერად კი ისინი მეტად ღარიბნი არიან, რადგან იღებენ მცირე ჯამაგირს, ამიტომ მათი ახალი საზოგადოება თხოულობს ყველასგან თანაგრძნობას. ამ მიზნისათვის, ე. ი. თავის საშუალების გასაძლიერებლად, საზოგადოების მთავარი გამგეობა კეთილ ადამიანთა დახმარებით კვირას, 29 მაისს, ქალაქის ბაღში გამართავს საერ ნობას, რომელსაც, იმედია, ჩვენი საზოგადოება ჩვეულებისამებრ არ მოაკლებს თავის თანაგრძნობას, დაესწრება და მით შეიტანს თავის წვლილს ღარიბ მუშაკთ, სახალხო მასწავლებელთა ნორჩი საზოგადოების სალაროში.

ვსთხოვთ თფილისის დღიური გაზეთების რედაქციებს 28 მაისამდი გადაგვიბეჭდოს ეს წერილი.

გამგეობის მონდობილობით საზოგადოების წევრი ლადო ბზვანელი.

## ქალაქის გამგეობის საყურადღებოთ.

ამ თვის 24 მაისიდან მიწის მზომელი ბ. მანუილოვი იწყებს ზედა-ქვიტირის აგარაკის მიჯვნას რის გამო იწვევს, როგორც ამ სოფლის, ისე ქუთაისში მცხოვრებთ, წყალგაღმა ნაწილის მემამულეებს ს. ზედაქვიტირში თავის ბინაზე და თან წინადადებას აძლევს მათ წარმოადგინონ მუდამ მუშაობის დროს ექვს-ექვსი მუშა სამუშაო იარაღებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება ჯარიმით. ზედა-ქვიტირის აგარაკზე მიუწერიათ წყალგაღმა ნაწილის მცხოვრებნი ბორანიდან დაწყებული ოლასკურამდი, ე. ი. რუბანის, გეგუთის, მესხეთის, ძველი ბანაკის, ქვიტირის, ხონის, პირველი და მეორე ალექსანდრეს ქუჩები თავის შესახვევებით, სადაც ითვლება სულ ხუთი ათასამდე მოსახლე. ვერ გაგვიგია, რას ნიშნავს ეს; ნუ თუ ეს უბანი არ ითვლება ქალაქად, როდესაც ორმოცი წელიწადია, რაც აქეთ სცხოვრობს ხალხი და ქალაქის ყოველგვარ გადასახადებს იხდის?!.. ან რა დროს გამიჯვნაა დღეს, როდესაც ხალხს ათასნაირი გაჭირვება ადგას, შიმშილი მოელის, მუშა ხელი არ იშოვება, ზოგის ბრძოლის ველზეა გასული და ცოლშვილი მიტოვებული ყავს! ვინ არის დღეს ამის ხასიათზე, ან ვის შეუძლია ექვს-ექვსი მუშა წარუდგინოს მიწის მზომელს. ვინ გამოესარჩლოს მას, როდესაც მეპატრონეები სახლში არ იმყოფებიან! საჭიროა ეხლავე ქალაქის გამგეობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რომ ადგილების მიჯვნა შეჩერებულ იქნას ომის დამთავრებამდი ამ უბნის მცხოვრებნი მეტად აღშფოთებულნი არიან ასეთი განკარგულებით და არ იციან რა გზას დაადგენ; თუ მიწის მზომელმა ისინი ააწიოკა, გადაწყვეტილი აქვთ ქალაქს არავითარი გადასახადი აღარ მისცენ.

ვსთხოვთ ქუთაისის ქართულსა და რუსულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

მარი-ოდელი.

## პატარა ფელეტონი.

მეტად მოუსვენარი ხალხია რუსეთის „ლიბერალ პატრიოტები". ისინი ქვეყანას ყოველდღე ახალახალ ამერიკის აღმოჩენით აბედნიერებენ...

თუ ამერიკის აღმოჩენა არა, მაშ რა არის მათი უკანასკნელი დროის გამოსვლა? „ფინლანდია ღალატს აპირებს, იქ გერმანიის დასვენებული ფლოტი სადესანტოთ ემზადება, საჭიროა საჩქაროდ დაიტუქსოს ფინლანდია და ყველა ახალგაზდა ჯარში იქნას გაწვეული"-ო გაჰკივიან ეს ვაჟბატონები.

***

სათათბიროს თავჯდომარემ როძიანკომ გახსნა რა სათათბიროს საზაფხულო სესია მის აწინდელ შემადგენლობას მოაგონა „პარლამენტი"-ს დაარსებიდან 10 წლის თავის შესრულება და დეპუტატებს სთხოვა პირველ და სხვა გარეკილ სათათბიროს განსვენებულ წევრებისთვის ფეხზე ადგომით პატივი ეცათ... ყველა წამოდგა... ერთი ზის... წარბები შეუჭმუხნავს და ამბობს: რის კონსტიტუცია, რა კონსტიტუცია, რის პარლამენტარიზმი...

პირველი სათათბიროელები პატივცემის ღირსნი არიან?

ვინ არის ეს წარბებ შეჭმუხვნილი?

არ იცნობთ?

მარკოვი მეორე, რომელიც ბრძოლის ველიდან გუშინ დაბრუნდა და 1050 „ძლევის დროშა" მოიტანა...

ამბობენ, მარკოვ მეორეს „ბოლოს რუსის" რედაქციისთვის მიუწერია — „დროა ჩვენ რუსეთის ნაციონალისტები „ინოროდცები"-ს წინააღმდეგ ენერგიულ მოქმედებას შევუდგეთ, თორემ ლამის არის მათ მოქალაქეობაც კი მოგვთხოვონ. მარკოვი მეორე თავის ძვირფას ძმებთან ერთად მოითხოვს აწინდელ ფრთა შეკვეცილი სათათბიროდან სრულიად გამოდევნილ იქნას „ნაროდნიკები" და აგრეთვე სასტიკი ზომები იქნას მიღებული „კულტუროსან ფინლანდიის" წინააღმდეგ, სადაც გერმანიის დასვენებული ფლოტი დესანტის მოხდენას აპირებს...

მარკოვი მეორე თურმე შავი ცრემლებით სტირის იმის შესახებ, რომ ებრაელებს ზოგიერთი შეზღუდვა შეუმსუბუქეს...

აი, გაიცან, მკითხველო, სხვა ერის მოძულე რუსეთის ცრუ „ნაციონალისტები" და შესაფერი მსჯავრი დასდე...

ი. იმერელი.

P. S. უკაცრავად, მკითხველო, ერთი სიურპრიზი გამომრჩა მოგეხსენებათ დღემდის სამარხვო დღეებს უწმ. სინოდი აწესებდა, ახლა კი ეს მოვალეობა სახ. სათათბიროს უდვია თავს, და კვირაში სამი დღე „მარხულობა" შემოუღია...

— სახ. სათათბირო სინოდში გადასახლებულა, მხოლოდ სინოდი სახ. სათათბიროში.

ი. იმ—ი

## პროვინციის ცხოვრება.

**დ. სამტრედია.** რვა მაისს მოხდა სამტრედიის საზოგადოების ყრილობა, ოცისთავების ასარჩევად. ყრილობა არ შესდგა კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, და მომავლისათვის გადაიდვა. სასურველია, ამისთანა დიდ საქმეს საზოგადოება სიფხიზლით შეხვდეს და შესაფერი კანდიდატები იყვნენ წამოყენებული. ყოველმა ოცმა კომლმა თითოეულ უბანში უნდა აირჩიოს ერთი წარმომადგენელი, ე. ი. ოცისთავი. ამიტომ საჭიროა, რომ კანდიდატათ წამოაყენონ ისეთი პირი, რომელიც მათშივე ცხოვრობს, რომელმაც სხვაზე უფრო კარგათ იცის თავის ამრჩევლების ავი და კარგი და შესაფერისადაც დაიცავს მათ ინტერესებს. ოცისთავათ, რასაკვირველია, უნდა ამორჩეულ იქნას ისეთი პირი, რომელიც სრულის ნდობით იქნება აღჭურვილი და სამედოც.

— წარსულ პარასკევის ბაზრობაზე ვიღაც ლ—ვას რამდენიმე ამხანათი შაბიამანი და გოგირდი მოუპარავს ეს ქურდობა აღმოაჩინა ი. ჩ—მა და ქურდი თავის მოქმედებაში გამოტყდა და ი. ჩ—ს თავისი ამხანათის მიღება სთხოვა, თანაც ოცდახუთი მანათი ქრთამათ შეაძლია, მაგრამ ჩ.—მა ამას არ დასთანხმდა და მოსთხოვა საქონელი ყველა თავის პატრონებისათვის დაებრუნებია, ამასობაში პოლიციაც მოვიდა და ქურდი დაატუსაღეს. საქონელი პატრონებს დაუბრუნეს. ქურდისათვის შესაფერი თქმი შეუყენა ბოქაულმა და ციხეში გაგზავნა.

— ამას წინათ აქაურ ვაჭარს შ—ძის ოჯახში 11—12 წლის მოსამსახურე ქალს ყუთიდან 300 მანეთი მოუპარავს და თავის სოფ. გურიაში გაპარულა, პოლიციამ ქურდი შეიპყრო, გოგო თავის დანაშაულობაში გამოტყდილა და ფულის ნაწილიც აღმოჩენია, ბოქაულს ოქმი შეუდგენია.

— სამტრედიის მეეტლეები გაიფიცნენ. მიზეზათ შემდეგი გარემოება ყოფილა. ბაზრის ბოქაულს მეეტლეებისათვის გამოუცხადებია, რომ ყოველდღე მორიგებით თითო ეტლი უფასოდ მასთან ბინაზე უნდა ყოფილიყო, რაზეც ქუჩრებს უარი უთქვამსთ და შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლესი მთავრობის წინაშე. თხოვნის დაკმაყოფილებას მოელიან

მევილრო.

## რუსეთი.

როგორც ხარბინიდან იტყობინებიან, მონგოლეთში რუსის ვაჭრები ვერ უძლებენ ჩინელების კონკურენციას.

— —

ოდესის გენერალგუბერნატორმა 3000 მან. დააჯარიმა ვინმე კენიგი, ბინის ქირის მომატებისათვის.

— —

შანიავსკის უნივერსიტეტისთვის უცნობ პირს შეუწირავს 200,000 მ.

## თეატრი და ხელოვნება.

ქალაქის თეატრი „ოტელო".

ძლიერ სამწუხაროა ის მოვლენა, რომ ქართული წარმოდგენები არ იმართება ხშირად

საერთო რიცხვი წარმოდგენებისა ძლიერ მცირეა. ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობის ნიჭის გასავითარებლად. მსახიობი, როგორც საერთოდ ყველა ხელოვანი უნდა სცხოვრობდეს ხელოვნების ატმოსფეროში, უნდა ერთიანად გართული იყოს სასცენო მუშაობაში და რამდენად ხშირად გამოვა სცენაზე, იმდენად მისი თამაში მოქნილი და ბუნებრივია. ჭეშმარიტი ხელოვანი სცხოვრობს საკუთარის ცხოვრებით, ის ხელოვნებით იკვებება და მით სულდგმულობს: მთელი მისი არსება გამთბარია ღვთიური ცეცხლით. ხოლო ეს ცეცხლი ნელდება თუ ხელოვანის ყურადღებას სხვა გარეშე მოვლენა უფრო იქცევს, ვიდრე ხელოვნება ქართველი მსახიობი მთელი კვირაობით და მთელი თვეობით უმოქმედოთ არის, ვერ იღებს მონაწილეობას სცენაზე, წარმოდგენები ხშირად არ იმართება. ამ პირობებში მუშაობა მეტად ძნელია, არათუ ქართველი მსახიობისათვის, რომელიც ნივთიერ გასაჭირს განიცდის, არამედ მოწინავე ერების უზრუნველყოფილ მსახიობთათვისაც.

ამ მოვლენას უნდა მიუმატოთ ისიც, რომ ჩვენ ქართველებს არა გვაქვს სასცენო ოჯახი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. არ არის კოლექტიური მუშაობა, ქართველ მსახიობთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საერთო მიმართულება ყოველი მსახიობი ცალკე მუშაობს, მარტოდ იკვლევს გზას. ხელოვნების დარგში ისევე საჭიროა მუშაობა, როგორც სხვა დარგში, მხოლოდ მარტოდ მუშაობა ძნელია და აუტანელი; მით უმეტეს ძნელია ასეთი მუშაობა გაჭირვებულ ქართველ მსახიობისათვის. ამიტომ არის, რომ ყველა ვერ იტანს ამ სიძნელეს და თითო ოროლა მსახიობთაგანი თუ აღწევს მიზანს.

ქართულ სცენაზე მიზან მიღწეულთა მცირე რიცხოვან ჯგუფში ოვალსაჩინო ადგილი უჭირავს ალ. იმედაშვილს. უკანასკნელი ჭეშმარიტად ინტელიგენტი არტისტია, მისი თამაში აკმაყოფილებს არა თუ საშუალო თეატრალს, არამედ ნამდვილ ევროპიელ პედანტ მაყურებელსაც, რომელიც თხოულობს, რომ მსახიობმა თავის „მეს" კვალი დაამჩნიოს როლს, შეიტანოს ამა თუ იმ როლის აღსრულებაში ახალი რამ, რაც უნდა იყოს მისი შეგნებისა და მუშაობის შედეგი. სწორედ ამ „ახალ რამეს" ძალუძს მიიზიდოს თეატრში მაყურებელი პიესაზე, რომელიც მრავალჯერ უნახავს მას, უფრო მეტს ვიტყვი, თანამედროვე თეატრში ამას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. სხვა აღმასრულებელთაგან აღსანიშნავია ბ-ნი ყაზბეგიშვილი, რომელმაც კარგად შეუგნია იაგოს როლი. მ მდივანი კარგი დეზდემონა იყო.

№.

## შემოწირულობა.

„სინათლის" საზოგადოების საერნობის სასარგებლოდ კიდევ შემოსწირეს:

მ. ი. რუბანისამ—8 ცალი ხელსახოცი, სამსონ ღოღობერიძემ—7 მ. 70 კ. სხვადასხვა ნივთი, სოფიო ქუთათელაძისამ—ნაქარგი ჩაის ტილო, ქ-მა კობახიძისამ—ხავერდის ნაქარგი ბალიშის პირი, „სინათლის" სასწავლებლის მოწაფეებმა: თამარ გელოვანმა—მობის ხის სათამაშოები, ქეთო კორძაიამ—ბურთი და სათამაშო, თამარ ჩოგოვაძემ—ბურთი, ნინო გაბუნიამ—წიგნი და თინა გამრეკელიძემ—საშურაბე ვაზა. ნინო ფერაძემ—საბავშო საყელო, გალინა გველესიანმა—საბავშო საყელო, სერაფიმა მარგველაშვილმა—ჩაის ტილო, ანნა ფერაძემ—2 ცხვირსახოცი, ნატალია გეგეშიძისამ—2 ცხვირსახოცი, მარო ჭანკვეტაძემ—2 ჩაის ხელსახოცი, მარია ბარბაქაძემ—1 ცხვირსახოცი, მარო მარგველაშვილმა—2 ცხვირსახოცი, ნატა [illegible]—[illegible] ფელი, ბ. ბაბუნაშვილისამ—2 [illegible], ნინო ფანცხავასამ—[illegible] სარკით, კნ. ალექსანდრა წერეთლისამ—საფერის გადასაფარებელი, ასათიანმა—ჩალის ფარდა, ოლღა კოსტავასამ—საკარაქე და ხილის ვაზა, ლუბა მაჭავარიანმა—ფინჯანი, აკაკია აისულლიანმა—ფინჯანი, იაგორ ლომინაძემ—სასაფერფლე, ნატალია ვაჩეიშვილმა—2 სურათი. მ. ლომინაძემ—სამელნე, ნ. ჭოლოშვილისამ—ბავშის საკაბე, №№—ოქროს სამაჯური (ბრასლეტი). ფულად: №№—5 მ კატო ბერიძემ—2 მ., ოლღა ჭეიშვილმა—2 მან., ეფემია ბარბაქაძისამ—1 მ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"




## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 წ | |
| „ | — სალამ. | — 8 ს. 55 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 45 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 31 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 55 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. 5 | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 30 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 | „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს 25 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. 25 | „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, სიყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

# გრანული ექ. გლეზისა.

**გრანული ექ. გლეზისა** მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ-სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

**გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვლს** საათიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ვრთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.